სემინარის ანგარიში

2015 წლის 2 მარტს თბილისის მასწავლებლის სახლში ჩატარდა სემინარი ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის თემებზე: ***Accessing CPD Through Development Observations*** და ***The Joy of Using Authentic Materials***. სემინარი ჩაატარა ვიმბელდონის ინგლისური ენის აკადემიურმა დირექტორმა ფიონა დანლოპმა.

სემინარის თემატიკა ძალიან საინტერესო იყო.

პირველი საკითხი ეხებოდა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას დაკვირვების და ურთიერთდასწრების შედეგად. მომხსენებელმა საინტერესოდ გაშალა განვითარებადი დაკვირვების ფორმები:

1. დაუკვირვებელი დაკვირვება, როდესაც მასწავლებელი თავად აკეთებს რეფლექსიას და შეფასებას თავისი გაკვეთილის გარშემო
2. გადაღებული / ჩაწერილი
3. წყვილებში დაკვირვება
4. თანატოლთა დაკვირვება – როდესაც მასწავლებელს ესწრება თავისივე კოლეგა
5. 10 წუთიანი დაკვირვება
6. კვლევის მოქმედება
7. ნივთმტკიცებაზე/სამხილზე აგებული დაკვირვება და სხვა

საინტერესო იყო დაკვირვების ყველა ფორმის გარჩევა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ურთიერთდაკვირვება რომელიც აგებულია თანამშრომლობაზე და აზრთა ურთიერთგაზიარებაზე, სასარგებლოა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის. მიმაჩნია, რომ დაკვირვების ნებისმიერი ფორმა მისაღებია, თუ ის არაა გათვლილი კრიტიკისათვის, ის უნდა იყოს რჩევის მიმცემი და მასწავლებელს აძლევდეს მოტივაციას თავად დაისწროს დამკვირვებელი – კოლეგა, რომელიც მასთან ერთად განიხილავს ყველა დადებით შედეგს და დაგეგმავენ შეცდომების გამოსწორების საშუალებებს.

მეორე საკითხი ეხებოდა ავთენტური მასალის გამოყენებას საგაკვეთილი პროცესში. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ უცხოენოვანი მასალის გამოყენება ნამდვილად სასარგებლოა ჩვენი მოსწავლეების სწავლების დროს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უცხოენოვანი საგაზეთო სტატიების, უცხოური ლიტერატურის შეტანა გაკვეთილის დროს ხელს უწყობს როგორც ლექსიკური მასალის, ისე გრამატიკული მასალის განმტკიცებას

(მოსწავლეს შეუძლია მოძებნოს შესაბამისი ლექსიკური ერთეულები, გრამატიკული დროები, ნაცვალსახელები და ა.შ). ვიდეო მასალის ჩვენება კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსმენის უნარის განვითარებას.

სემინარი ძალიან საინტერესო იყო, რადგან აუცილებლად გამოვიყენებ თვითდაკვირვების ფორმებს ჩემსავე გაკვეთილებზე. ვთვლი, რომ ეს მომეხმარება, უფრო წარმატებული და საინტერესო გავხადო ჩემი გაკვეთილები

ქ.კობახიძე

2. 03. 2015 წ